საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოდუა ნუგზარ შალვას ძე

თოდუა ნუგზარ შალვას ძე (დ. 1. V. 1964, სოფ. დიდი ჭყონი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1998). 1986 დაამთავრა თსუ-ის ვაჭრობის ეკონ. ფაკ-ტი. 1990-იდან მუშაობს თსუ-ში სხვადასხვა თანამდებობაზე; 2002-იდან ხელმძღვანელობს მარკეტინგის კათედრას. თ. არის ჟურნალების: „ეკონომიკა და ბიზნესის", „ახალი ეკონომისტის", „ბიზნესი და მენეჯმენტის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, თსუ-ის სამეცნ. შრომების კრებულის „მარკეტინგის აქტუალური საკითხების" სარედაქციო კოლეგიის თავ-რე, ასოციაცია „მარკეტინგული კვლევის ცენტრის" დამფუძნებელი და თავ-რე (2001-იდან). ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა, მ. შ. ოთხი მონოგრაფიისა და ამდენივე სახელმძღვანელოსი. მისი სამეცნ. შრომები ეხება პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევის საკითხებს. მიღებული აქვს თსუ-ის ჯორჯ შულცის სახ. ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია (1997), თსუ-ის სამეცნ. პრემია სახელმძღვანელოსათვის „საქონლის ექსპერტიზა საერთაშორისო ვაჭრობაში" (1999).

თხზ.: ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების სტრატეგიები აჭარაში, თბ., 2006; საქართველოს ინტერნეტ ბაზრის მარკეტინგული კვლევა, თბ., 2008; საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა, თბ., 2012.